# საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000097369131517

ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmetasakrebulo@gmail.com

20 / აპრილი / 2017 წ.

№ 26

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული სოფელ ზეჭარნის (თუშეთი) ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო (ნაზობრივი ნაგებობა, წყლის მილსადენი 1376 გრძივი მეტრი) (საკადასტრო კოდი № 50.00.192.) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით (აღნაგობით) უსასყიდლოდ ერთი წლის ვადით გაცემაზე თანხმობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქონების საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის" 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის საკუთრებაში რიცხული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.00.192 ,1376 გრძივი მეტრი ) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო სარგებლობის (აღნაგობით ) უფლებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გაცემაზე
2. სარგებლობის უფლების გაცემა განხორციელდეს ერთი წლის ვადით გადაცემულ მიწის ფართობში წყალსადენ-საკანალიზაციო სისტემების მოწყობის მიზნით
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ოფიციალურად გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყურმაშელი